...ცემბა და რედაქცია
...ლისი, სასახლის ქ.,
...-აზნაურო ქარვასლა

...ამწერნი გაზეთის დასაკვე-
...მართავენ რედაქციის დილის
... საათამდე და საღამოს 6—7
... ქ. საზ." წიგნის მაღაზიას.

...მოუწერავ წერილებს რე-
...დაქცია არ ბეჭდავს.

...სთან მოლაპარაკება რედაქ-
...სთან შეიძლება ყოველდღე.
...ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 4 მან., და 50 კაპ.

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 18 თებერვალს
...ული დრამატიული დასისაგან ქ-ნ ნ. პ. რენელისა და გ. დ. მეს-
ხის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
I
პირველად ახალი პიესა:
სიკოია დენშჩიკი
სამ მოქმედ. კომედია გადმ. რუსულიდან დ. მესხის-მიერ.
II
მეფე და პოეტი
ერთ მოქ. კომ. ფრანგულიდან.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზე.
რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

...შნიკეთ ახალი მო-
...ვლის ღვინოები

აქვს [illegible] წლის [illegible]
თავის ახალი მოსავლის ღვინის [illegible]
ბოთლი [illegible] 1 მ. და 80 კ.

ღვინის სარდაფი
„იყალთო"
თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, ანტონოვის სახლი, სასტ.
„როსსიას" ქვეშ, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავ-
ხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი
„იყალთო"
ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე,
ვედროთი ფასი დაკლებულია.

Винный складъ
Князей Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
„ИКАЛТО"
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Антонова, подъ гост. «Россія» (75—49)

...შნიკეთ ახალი მო-
...ვლის ღვინოები

...ურნალო და ამბულატორია
...თოფურიასი
ქუთაისში.
...ნალოში 50 საწოლია ავად-
...თვის მიიღებიან ავადმყოფ-
...ნაგანისა, ნერვების, საქირურ-
...ლისა და დედათა ავადმყო-
ფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ
მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11
საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-
თამდე. შინაგან და ნერვების ავად-
მყოფობას სწამლობს ს. ბ. თო-
ფურია. საქირურგო ავადმყოფობას
და სიფილისს ფ. კ. გერატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი
ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფო-
ბის და აკუშერობის D-r ф. ბა-
ცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა.
ვარშავსკი.
ამბულატორიასთან არის კაბინეტი
საქიმო და საბაქტერიოლოგიო
გამოკვლევისათვის, ელექტრონით
წამლობისათვისა და მასაჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თო-
ფურია.
*Лѣчебница В. С. Топурія* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** საეკლესიო საუბარი ქაშვე-
თის ტაძარში. დღეს საღამოს მწუხრის შემდეგ ქაშვეთის ტაძარში წარმოთქმულ იქნება ჩვეულებრივი საეკლესიო საუბარი ქართულს ენაზედ მღვდლის ი. გამრეკელის მიერ შემდეგი სათაურით: „წმ. მოწამე ბიძინა, შალვა და ელიზბარი".

*** საეკლესიო საუბარი სას. სემინარიის ტაძარში. დღეს საღამოს ხუთს საათზედ ადგილობრივ სას. სემინარიის ეკკლესიაში მწუხრის ლოცვას შეასრულებს მაღალყოვლად-უსამღვდელოესი ფლავიანე. მწუხრის შემდეგ სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი ჰერმოგენი წარმოსთქვამს საეკლესიო საუბარს შემდეგი სათაურით: „სიბნელიდამ სინათლისკენ"... დღეიდან დაწყებული ბზობის კვირამდის ყოველს კვირას იქნება საეკლესიო საუბარი რუსულს ენაზედ ხსენებულს ეკკლესიაში, რაის შესახებ თავთავისს დროს ჩვენს გაზეთში გამოვაცხადებთ.

*** ქართული წარმოდგენა. შემდეგი ქართული წარმოდგენა დანიშნულია ჩვეულებრივ ხუთშაბათს, წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „სიკოია დენშჩიკი", გადმოღებული რუსულ ცნობილ კომედიიდან «шельменко деньщикъ» დათიკო მესხისაგან. პიესა მეტად მხიარული რამ არის და ეჭვი არ არის ჩვენი აქტიორები მკვირცხლად ჩაატარებენ, პიესაში იმერულ როლს თამაშობს ბ-ნი დ. მესხი. ამავე საღამოს წარმოდგენილი იქნება დრამატიული სურათი „მეფე და პოეტი" მთავარი როლები განაწილებულია ჩვენ საუკეთესო მსახიობთა შორის.

*** ქართული სახალხო წარმოდგენა 14 თებერვალს ავჭალის სასადილოში გაიმართება სახალხო წარმოდგენა. წარმოადგენენ მოლიერის კომედიას: „სკაპენის ცუღლუტობა"-ს, დასაწყისი შვიდისნახევარ საათზე.

*** რევიზია სოხუმში. 5 თებერვალს სოხუმში მივიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე გენ.-მ. სამოილოვი, სოხუმის საოლქო მმართველობისა და ადგილობრივი პოლიციის სარევიზიოდ.

*** კონცერტის ანგარიში და მადლობის გამოცხადება. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების სასარგებლოდ 21 დეკემბერს ქასულის 1898 წლის გამართულის კონცერტიდან შემოვიდა: ბილეთების ფასი 891 მ. და 35 კ. და პრემიები 180 მ.

დაიხარჯა: ტფილისის სობრანიის ქირა 100 მ., მუზიკა და ზურნა 37 მ., განცხადება და აფიშები 11 მ. 70 კ., მარკები 48 მ. 65 კ., თაიგულები 9 მ., მიეცა ზოგიერთ კონცერტის მონაწილეს 73 მ. 20 კ., სობრანიის შვეიცრებს და მსახურთ 9 მ. და სხვა წვრილმანი 16 მ. 70 კ., სულ 305 მ. 25 კ.,

წმინდა შემოსავალი დარჩა 766 მ. და 10 კ.

წერა-კითხვის გამ. საზ. გამგეობა თავის მოვალეობად სთვლის ულრმესი მადლობა უძღვნას კონცერტში მონაწილეობის მიღებისათვის: ქ-ნთ ე. გ. სარაჯიშვილისას და ა. ა. თხორჟევსკისას, თ. აკ. რ. წერეთელს, მ. ვ. სერბულოვს, ი. გ. კარგარეთელს და კ. ს. მესხს; პრემიების შემოწირვისათვის: კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისას, ქ-ნ კ. ვ. ოქრომჭედლიშვილისას, ე. თ. სტაროსელსკისას, კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისას, კნ. ა. ა. ამილახვრისას, ი. კ. თუმანიშვილისას, კნ. ა. ი. ბარათაშვილისას, ნ. ა. კრიუკოვისას, თ. ზ. გ. ერისთავს, თ. ი. მ. სუმბათაშვილს, ვ. დ. ვე-

ლიჩკოს, კ. ი. ზუბალოშვილს, თ. ნ. მ ჯორჯაძეს, ი. ბ. საგინოვს, თ. დ. ა. სუმბათაშვილს. და გ. ა. ყორღანოვს; უფასოდ განცხადების დაბეჭდვისათვის: „კავკაზ“-ის, „ივერიის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციებს და ფასდაკლებით განცხადების დაბეჭვდისათვის „ნოვ. ობ.“ რედაქციას.

** **ქ. პოლონსკის და ნ. დ. გვარამაძის საქმე.** გუშინ ტფილისის ოლქის სასამართლომ გამოიტანა შემდეგი გარდაწყვეტილება: სტატსკი სოვეტნიკის მეუღლე ვერა ნიკოლოზის ასული პოლონსკისა და ტფილისის მაზრის უფროსის თარჯიმანი კოლლეჟსკი სეკრეტარი ნიკოლოზ დავითის ძე გვარამაძე არიან დამნაშავე იმაში, რომ მათ ერთად პირობა შეჰკრეს და ფული დიდი სარგებლით აძლიეს სხვა და სხვა გაჭირებულ პირებს, იღეს სარგებელი 12% მეტი, თუმცა 1892 წ. ამ მოქმედებაზე კანონით აღკრძალვა გამოვიდა. ამ დანაშაულისათვის ორთავენი უნდა იყვნენ თავიანთ ყოველნაირ ღირსებას აყრილნი და გაგზავნილ იყვნენ საცხოვრებლათ ასტრახანის გუბერნიაში. ორთავენი სასამართლომ ციხეში დააპატიმრა, ვიდრე ექვსას თუმანს არ წარმოადგენენ. ამ განაჩენის გამოცხადების დროს ორთავეს გული წაუვიდათ და ძლივს მოიყვანეს გრძნობაზე.

** **რუსეთის საამპელოგრაფიო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების საწყობი** ღია არის ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებსა და საუფლო დღესასწაულებს გარდა, დილის $8\frac{1}{2}$ საათიდან 6 საათამდე.

2) ცნობათა საკომისიო ბიურო ღია არის საღამოს 6—8 საათამდე, ხოლო კვირა-უქმე დღეებში ნაშუადღევის $12\frac{1}{2}$ საათიდან 2 საათამდე. საუფლო დღესასწაულებში და ახალ წელს ბიურო დაკეტილია

3) ყოველ კვირაში შაბათობით საღამოს $7\frac{1}{2}$ საათზე ცნობათა ბიუროს სხდომა აქვს მეურნეებთან ტეხნიკურ კითხვების შესახებ სასაუბროდ. ვისაც სურს პასუხები მიიღოს სპეციალურ კითხვებზე, მან ეს კითხვები უნდა დასწეროს და შესავალთან გამოკიდებულ ყუთში ჩააგდოს თავის დროზე.

4) რჩევა-დარიგებას საზოგადო კითხვების შესახებ იძლევა ა. ე. კლაუსენი ცნობათა ბიუროს მოქმედების დროს.

5) რჩევა-დარიგებას მავნეთა და მებოსტნეობის შესახებ იძლევა ნ. . სპეშნევი სამშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3—5 საათამდე.

6) რჩევა-დარიგება ტყის მოვლა-მოშენების შესახებ იძლევა ვ. ი. ლისნევსკი ხუთშაბათობით ნაშუადღევის 3—5 საათამდე.

7) რჩევა-დარიგებას ძვირფას მცენარეთა მოვლა-მოშენებისა და ბაღოსნობის შესახებ იძლევა ვ. ვ. რადულოვიჩი კვირაობით შუადღის 12 საათიდან 2 საათამდე და ოთხშაბათობით საღამოს 5—7 საათამდე.

8) რჩევა-დარიგებას მევენახეობის შესახებ იძლევა ბაბანასოვი ორშაბათობით საღამოს 5—7 საათამდე.

** **ქ. ფოთი.** ქალაქის საქმეები. 9 თებერვალს ფოთის ქალაქის საბჭომ განიხილა, სხვათა შორის, გამგეობის მოხსენება შესახებ საკომერციო (7 კლასიან) სასწავლებლის დაარსებისა ფოთში და აგრეთვე შესახებ პენსიის დანიშვნისა გამგეობის საქმეთა მწარმოებლის ზ. გ. შემარშინისათვის, რომელმაც გამგეობაში 17 წელი იმსახურა და ამ ჟამად კი სამსახურიდან დათხოვნა ითხოვა.

„ქალაქის მოურავმა ბ. ნ. ი. ნიკოლაძემ გამოარკვია რა აუცილებელი საჭიროება ქალაქში საშუალო სასწავლებლის დაარსებისა, მოახსენა საბჭოს, როცა პეტერბურგში ვიყავი, მოლაპარაკება მქონდა ვაჭრობისა და მანუფაქტურის დირექტორს ვ. ი. კოვალევსკისთან ფოთში საკომერციო სასწავლებლის დაარსებაზედ, დირექტორი ფრიად თანაგრძნობით მოეკიდა ჩემ წინადადებას და დახმარებას დამპირდაო. სასწავლებლის გახსნა შეიძლება შემდეგი პირობებით: ყველა წლიური ხარჯების ერთი ნახევარი (დაახლოვებით 30 ათასამდე) დაიფარება პორტის $\frac{1}{2}$ კაპიკის გადასახადის შემოსავლითაო, მეორე ნახევრიდან—5 ათას მან. ქალაქი გადადებს ყოველ წლივ, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი მოგვეცემა ხაზინიდანაო“.

გამგეობის მოხსენებამ კამათი გამოიწვია. ა. ი. მიქაბერიძემ, ა. ვ. კონოვალოვმა და რამდენიმე სხვამ წინააღმდეგობა გამოაცხადეს გამგეობის წინადადებაზე და საჭიროდ აღიარეს ფოთში საზოგადო განათლების მიმცემი სასწავლებელი. ჩვენი საბჭოსათვის უჩვეულო ხანგრძლივი კამათი დასრულდა იმით, რომ მოხსენება გადაეცა კომისიას, რომელიც შესდგება შემდეგ ხმოსანთაგან—ბ.ბ. მიქაბერიძისა, კონოვალოვისა, ბაჟ-ბეუკმელიქოვისა, გრიგოლიასა და ჩოჩუასაგან. ტფილისის ვაჭრობასა და მანუფაქტურის კომიტეტის შუამდგომლობა ტფილისის მომავალ საკომერციო სასწავლებლისათვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ გადაეცა განსახილველად საფინანსო კომისიას.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია კიდევ კითხვამ გამგეობის საქმეთა მწარმოებლის ბ. შემარშინისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. ზოგიერთი ხმოსნები, მაგალ., ს. ჩოჩუა და ა. ქვანია თავგამოდებით წინაღუდგნენ „ქველ-მოქმედებას“ (!). 21 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 8-ისა საბჭომ დაადგინა მიეცეს ბ-ნს შ—ს პენსია. („ნოვ. ობ.“).

## პირველი ქადაგება ქრისტიანობისა საქართველოში.

I

პირველი ცნობები მაცხოვრის დაბადების და ტანჯვის შესახებ საქართველოში (ქართლ-კახეთ-იმერეთში) ურიებმა (ებრაელებმა) გაავრცელეს. ბაბილოვნის მეფემ ნაბუქოდონოსორმა (594 წ ქრისტემდის) დაასახლა ებრაელები თვისი დიდი სახელმწიფოს ყოველს ადგილებში, სხვათაშორის საქართველოშიც, რომელიც კარგა ხანს ბაზილოვნს ემორჩილებოდა პირველად ებრაელები იმერეთში დაესახლენ. შემდეგ მცხეთის უფროსი მამასახლისის ნებართვით ისინი დაემკვიდრენ ხერკში და მტკიცე პირობა მისცეს მამასახლისს გადასახადი ყოველ წლივ ერთი ორად ეხადნათ და ქალაქში არ დაბინავებულიყვნენ. როდესაც რომის იმპერატორმა ტიტემ (70 წ ქრისტეს შემდეგ) გაანადგურა იერუსალიმი, ებრაელთა სატახტო ქალაქი, ბევრი ამათგანი საქართველოში გადმოსახლდა. ამასთანავე ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ნაბუქოდონოსორის დროზედ უფრო ადრე ებრაელები დასახლდნენ საქართველოში: ასურეთის მეფემ სალმანასარმა გაჰფანტა ისინი თვის სამეფოის სხვა-და-სხვა ადგილებში და სხვათაშორის—გადაასახლა ისინი აწინდელს იმერეთში. საქართველოში ურიები ერთგულად იცავდნენ თვისს სჯულს და მოუთმენლად მოელოდნენ აღთქმულს მესსიას. მათ ჰყავდათ აქ თვისი მღვდელმთავრები, მღვდლები და მასწავლებლები. იმათ გაამტკიცეს ქართველთა შორის ერთ-ღვთაების ჰაზრი. საქართველოს ურიები არ ივიწყებდნენ თვისს დედა-ქალაქს იერუსალიმს და იქაურ მწიგნობრებს და მოძღვრებს. ყოველ შესანიშნავ შემთხვევის დროს ისინი ჰგზავნიდნენ თვისს წარმომადგენლებს იერუსალიმში, რომელიც, როგორც საზოგადო სიწმინდე, ერთობის გრძნობით აკავშირებდა დედა-მიწის ზურგზედ გაბნეულს ებრაელებსა... როგორც მოგვითხრობს ქართული საისტორიო წყა-
როები, მღვდელ-მთავარმა ა
წერილით აცნობა ქართველ
რაელების მოძღვარს ელიოზს
რუსალიმში აღმოსავლეთიდამ
გვების მოსვლა. იმავე მღვდ
მთავარმა მოსწერა წერ
ელიოზს, რომლითაც იწვევდა
სო ქრისტეს ტანჯვაში მო
ლეობის მისაღებად... ელ
იერუსალიმს წასასვლელად მო
დებულს, დედა—სარრამ, რო
ლიცმოელოდა მესსიას, სუ
წმიდის ჩაგონებით, უთხრა,
„იესუ არის მოლოდინი წარმართ
ნათელი ისრაილისა“ და ამისა
სთხოვდა მას, არ მიეღო არავ
რი მონაწილეობა იესო ქრი
სასჯელში. ელიოზმა თან წა
ნა ლონგინოს კერსნელი დ
ვიდა იერუსალიმს. იმას გამო
ვების დროს დამ სიდონიამ ს
ვა მოეტანა მისთვის
ნივთი, რომელიც ეკუთვნოდ
ტანჯველად განწირულს ქრის
ელიოზს, როგორც გადმოგვ
მრავალი საისტორიო წყარო
ხვდა წილად გოლგოთის მ
იესოქრისტეს კვართი. ქართ
ებრაელები დარჩნენ იერუსალ
მეერგასის (ПЯТИДЕСЯТНИЦА)
სასწაულამდის, როდესაც ი
სალიმს შეგროვილს მოწაფე
გადმოვიდა სულიწმიდა და
დაიწყეს სხვა-და-სხვა ენაზე
ნობა... ეჭვს გარეშეა, რომ
თველი ურიები მოისმენდნე
თვის ნაცნობს ქართულს ენა
მოციქულების ქადაგებასა და
ტყობდნენ მასაც, რომ საქა
ლო ქრისტიანობის საქადაგ
წილად ხვდა დედასა ღვთ
ქალწულს მარიამსა. ელიოზ
ლონგინოსი და მათთან ე
წასული სხვა ქართველი უ
დაბრუნდნენ საქართველოშ
ქართველს ერს მოუტანეს უ
ფასესი განძი საქრისტიან
კვართი იესო ქრისტესი და
ვი იესოს აღდგომის, ამაღლ
სულისწმიდის მოსვლის და
თველოს ღვთისმშობლის წ
ხდომის შესახებ. ელიოზს მ
ახლოს მიეგება და სიდონ
აუწყა მას დედის გარდაცვ
მართლაც ელიოზის დედა
დღესასწაულის წინ პარა
სწორედ იმ დღეს, როდესა
სო ქრისტე ჯვარს აცვეს, გ
ცვალა ამ სიტყვებით:
დობით, მეფობაჲ ურიათაჲ,
მოჰკალით მაცხოვარი თავისა
სა და მხსნელი და იქმნენით
გან მკვლელ და მტერ შემო
გაჲ, თავსა ჩემსა, რომ არ
(არ მეწია) უწინარეს ამისსა
ლი, რათამცა არღარა სმენ
ყურთა ჩემთა და არცა-და შე
ამისა ღირს ვიქმენ ხილვად (
ნათლისა წარმართთა ზედა
დობა ისრაილისა“... სიდონი

…რთვა ძმას უზომო სიხარულით
…ის კვართი, მიიკრა ის გულ-
… და უეცრად სული განუტე-
… ვერას გზით ვერ გამოაცალეს
…თი სიდონიას. მაშინდელი სა-
…ველოს სატახტო ქალაქის
…ეთას და მის მიდამოებში
…ურებნი შეგროვდნენ იმ
…ლოს, სადაც გარდაიცვა-
… სასწაულებრივ სიდონია;
… ოვიდა ქართველთა მეფე
… ანუ ფარსმანი (3 წ.
…ქემდის—55 წ. ქრისტ. შემ.)
… ეცადა ხალხი წაერთმიათ
…ონიასთვის კვართი, მაგრამ ვერ
…ლო… უეცრად გაირღვა მიწა,
…ელმაც შთანთქა სიდონია კვა-
…თურთ. ნეტარი სიდონიას გა-
…ცვალების ადგილს ამოვიდა
…აროსის ხე, რომელიც შემდეგ-
გახდა ქრისტიანობის ბურჯად
…რთველოში. ელიოზმა მოჰფი-
…ნელ საქართველოში მოთხ-
… იესოს ტანჯვების და უფ-
…კვართის შესახებ. ქართველმა
…მა ეს სასწაულებრივი შემთხ-
…დასახა თავისი ბრწყინვალე
…ელის წინდად, შეადგინა თქმუ-
… ამის შესახებ, რომელიც ჩა-
…ვლობიდან ჩამომავლობას გარ-
…ცემოდა, როგორც ძვირფასი
…ოვნო საუნჯე. საეკკლესიო
…მოცემა მოგვითხრობს, რომ
… წმიდის მოფენის შემდეგ,
… მოციქულებმა და მათთან
… ღვთის მშობელმა ჰყარეს
…, იმის შესახებ, თუ ვის რო-
… მხარე შეხვდებოდა ქრისტი-
…ის საქადაგებლად… ღვთის
…ელს წილად ხვდა ივერია ანუ
…რთველო. მაგრამ თვის მაგივ-
… ღვთის მშობელმა გაჰგზავნა
…რთველოს, წმ. მოციქული ან-
… პირველ-წოდებული, რომელ-
…მან მისცა თვისი ხატი… თქ-
…ება იმის შესახებ, რომ სა-
…რთველო წილად ხვდა ღვთის
…ბელს, ფრიად გავრცელებული
… ქართველთა შორის, რომელთ
…ენი, მღვდელ-მთავარნი და წარ
…მადგენელნი ხშირად გაჭირვე-
… და მწუხარების დროს მიმართ-
…ნენ მხურვალე ლოცვით დე-
… ღვთისასა, როგორც მფარ-
…ს და შემწეს ივერიისას… თი-
…ული ქართველი კეთილშობი-
…რად თავს იწონებდა იმითი,
… მისი სამშობლო „ღვთის მშო-
…ს“ ხვედრ მხარედ ითვლებოდა.

ილ. ფერაძე

(შემდეგი იქნება)

## …ეატრის მატიანე

—

…ოხუმი. ქართული წარმოდგენა.
…ას, 7 თებერვალს, ადგილობ-
… კლუბის დარბაზში კნეინა
…ბედ დადიშქელიანის მეთა-
…ობით გამართული იქმნა საქველ-
მოქმედო აზრით ქართული წარმოდგენა. დადგმულ იქმნა აქსენტი ცაგარლის ცნობილი კომედია „ხანუმა“. თვითონ „ხანუმას“ როლს თამაშობდა განგებ ამ საღამოსთვის მოწვეული ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ქალი ნატალია გაბუნია-ცაგარლისა. დანარჩენი როლები განაწილებული ჰქონდათ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა. სახელდობრ მონაწილეობას იღებდნენ: კნეინა არმინდა მიქაძისა, ქ-ნნი ბ. ხრამელაშვილისა, მაკრ. თურქიასი და ან. ჩხენკელისა, ბბ. ხოხიაშვილი, რაჟდენ ქუთათელაძე, დ. თავზარაშვილი, პეტრე ჩაჩავა და თ. სახოკია. პიესა საკმაოდ კარგად ითამაშეს. განსაკუთრებით ქალებმა ისახელეს თავი. ვაჟებში ყველაზე მეტად ბ-ნს დავ. თავზარაშვილს ეტყობოდა სავსებით შეეგნო თავისი როლი, ხმა, მიხვრა-მოხვრა, კილო ლაპარაკისა —ნამდვილ გლეხისა ჰქონდა. ისე, რომ მისმა პატარამ, მაგრამ შეგნებულად შესრულებულმა როლმა მეტად ასიამოვნა მაყურებელნი. თვით ნ. გაბუნია-ცაგარლისაზე ის უნდა ითქვას, რომ დამსწრე საზოგადოებისათვის დაუვიწყარი იქნება ეს საღამო მისის მეოხებით. ამ საღამოს სოხუმელებმა სოხუმის სცენაზე პირველად ნახეს როგორც თვით მშვენება ჩვენის სამშობლო სცენისა პატივცემული ნატ. გაბუნია-ცაგარლისა, ისე მართლა ნიჭიერად მოთამაშე ქართველი მსახიობი ქალი. ტაშის კვრასა, ვაშას ძახილს და სცენაზე გამოწვევას დასასრული არა ჰქონდა. სოხუმელები განებივრებულები არ არიან ამისთანა ნიჭიერ მსახიობების ნახვითა, ამიტომ ამ ღამეს სულითა და გულით ისიამოვნეს. ნიშნად გულითადის პატივისცემისა მადლიერმა საზოგადოებამ პატივცემულ მსახიობ-ქალს საჩუქრად მიართვა ძვირფასი გულის ქინძისთავი, ვერცხლის დანა-ჩანგალი, კოვზი და მშვენიერი თაიგული ცოცხალი ყვავილებისა.

კლუბის დარბაზი სავსე იყო ხალხით, ბევრი ფეხზე იდგა, ბევრიც უადგილობის გამო შინ დაბრუნდა. წმინდა შემოსავალი თომეტ თუმნამდე დარჩა, რომელიც უნდა გადაეცეს ერთს ხელ-მოკლე ქართველ სტუდენტს.

გულითადის მადლობის ღირსია პატივცემული კნეინა ელისაბედ დადიშქელიანისა, რომელმაც თავთ იდვა ესოდენი შრომა და ერთის მხრივ ხელი გაუმართა ღარიბ მოსწავლე ქართველს და, მეორე მხრით, აქაურს საზოგადოებას, რომელიც დაინტერესებული იყო ქართულს წარმოდგენას, შეძლება მისცა დამტკბარიყო აქაურს სცენაზე ჩვენის მსახიობ ქალის ნიჭიერ თამაშობის ყურებითა.

## სასამართლოს მატიანე

### განათლებულესი თავ. ნ. დ. მენგრელსკის საქმე.

(შემდეგი *)

ამ საქმის თაობაზე მრავალი მოწამე იყო ნაკითხი სასამართლოში. მოწმები წარადგინა თითონ მებატონემ, სულ ძველი და ხნიერი ხალხი და იქაური მკვიდრნი მცხოვრებნი. ამ მოწმებმა უჩვენეს, რომ ხსენებულ მებატონეს მამული რკინის გზის გაყვანის შემდეგ ძალიან შეიცვალა, დაჭაობდა, ხეები დალპა და მთელი ტყე მოისპო, რის გამოც გლეხკაცობა იქიდგან სრულებით სხვა მამულზედ გადასახლდა, რითაც მემამულე დიდს ზარალში ჩავარდა. ხსენებული მამული ისეთი ხასიათისაა ბუნებით, სთქვეს მოწმებმა, რომ ხშირათ შეიცვლება ხოლმე, რის გამოც იგი ერთ დონეზედ არა სდგას.

ექსპერტიზამ გეოლოგების და ტყის უფროსების მონაწილეობით შემდეგი გამოიკვლია. სამეგრელოს მემამულეს მამულს ზედ ეკვრის რკინის გზის ლიანდაგი. მამული დაქვეითებულია ქალადიდის მხრიდან ფოთისაკენ. მდინარე რიონს მოაქვს მრავალი ქვიშა და ნაგავი, რომელიც გროვდება და ადგილებს ამაღლებს; ეს სიმაღლე წყალს კი არ უნდა აგუბებდეს, არამედ მას უნდა გზას აძლევდეს დაქვეითებით, რის გამოც მამული კი არ უნდა ნოტიოვდებოდეს და ჭაობდებოდეს, არამედ უნდა შრებოდეს. მაშასადამე რკინის გზის ლიანდაგი მამულის დაჭაობების მიზეზი არ არის.

ოლქის სასამართლომ მხედველობაში მიიღო მხოლოდ მოწმეების ჩვენება და დაადგინა: ნება მიეცეს თავ. მინგრელსკის სასამართლოს ძალით დავა გამოეცხადოს რკინის გზის მმართველობას და გადაახდევინოს ის ზარალი, რომელიც მას მოუვიდა თავისი მამულის დაჭაობებისაგან და დანოტიებისაგან.

ამ გარდაწყვეტილებას რკინის გზის მმართველობა არ დაჰყაბულდა და გადაიტანა აპელაცია ტფილისის სამოსამართლო პალატაში, რომელშიაც ეს საქმე გაირჩა 12 ამ თებერვალს. პალატის გარჩევას შემდეგ შევატყობინებ მკითხველთ, რადგან გადაწყვეტილება (резолюція) გადადებულია 18 ამ თვისათვის.

ერგნელი

(დასასრული იქნება)

## ყურმოკრული საუბარი

—

— ჩვენ მივიღეთ სსტატისტიკო კომიტეტიდან მოწერილობა იმის შესახებ, თუ მამობრივი სქესი როგორ განწყობილებაშია დედობრივ სქესთან. რას გვიბრძანებთ რა პასუხი მივსწეროთ?

— ხომ ღმერთი არავის გაუწყრა და არ დაგვაბეზღა?

— არა, თქვენო აღმატებულებავ, მგ რა საფიქრებელია.

— მაშ ვუპასუხოთ, რომ ორივე სქეს შორის მეტად სასიამოვნო განწყობილებაა.

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 788.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

11 თებერვალი

**პეტერბურგი.** 11 თებერვალს, დილის 11 საათზე, კათოლიკეთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ფორის სულის მოსახსენებლად. წირვას დაესწრნენ: ხელმწიფე იმპერატორი, დიდნი მთავარნი, დიდნი მთავრინანი, სადიპლომატიო კორპუსის ელჩნი, დესპანნი და პეტერბურგში მყოფი ფრანგები.

**მოსკოვი.** დღეს ფრანგების ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა განსვენებულის პრეზიდენტის ფორის სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ: გენერლობა, ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, წარმომადგენელნი წოდებათა და უცხოელნი ელჩნი.

**პარიზი.** დღეს დილით, თავადმა ურუსოვმა, რუსეთის ხელმწიფის სურვილისამებრ, პრეზიდენტის ფორის კუბო შეამკო მშვენიერის გვირგვინით. გვირგვინს აწერია: „სრულიად რუსეთის იმპერატორისა და იმპერატრიცისაგან“.

**ვენა.** ყველა გაზეთები იუწყებიან, რომ ახალი კაბინეტი მხოლოდ ლიბერალებისაგან შესდგება

ხმა დადის, რომ იუსტიციის მინისტრად იქმნება პლოსსი, შინაგან საქმეთა—სელლი ან ბესცევიჩი, დანარჩენები უწინდელნი იქმნებიან.

**პარიზი.** დილიდგან დიდ-ძალი ხალხია ქუჩებზე ელისეს სასახლიდგან დაწყობილი „Nofr Dame-მდე ხალხი მშვიდობიანად არის. ეტყობა, რომ წესიერება იქმნება დაცული. დილის 9 საათამდე მთელს გზაზე ჯარი იდგა. ხალხი ჯარის იქით. „პატრიოტთა ლიგამ„ ადგილი დაიჭირა „თანხმობის“ მოედანზე. აქაც მშვიდობიანობაა. მთავრობის წარმომადგენელნი ელისეს სასახლეში მიდიან. საკასაციო პალატის წინ მანიფესტაციები არა ყოფილა. 9 საათსა და 50 წ-უთზედ მოვიდა ელისეს სასახლესთან გენერალი ცურლინდენი თავისის შტაბით და ჯარს სალამი მისცა. 9 საათსა და

55 წუთზე მოვიდა დეპუტატთა პალატა, 10 საათზე მობძანდა ლუბე. ხალხი პატივისცემით მიეგება, დაუკრა მუსიკამ. ლუბე შევიდა ელისეს სასახლეში და შემდეგ წამოვიდა პროცესია.

**პარიზი.** დასაფლავების დროს წარმოსთქვეს სიტყვები: ფრანკ-შოვემ, რომელმაც აღწერა ფორის ცხოვრება, მოიხსენია პირუთვნელობა იმისი შანაგან პოლიტიკაში, აღნიშნა მისი მოქმედების მნიშვნელობა რუსეთისა და საფრანგეთის შორის კავშირის საქმეში, მოიგონა რუსეთის იმპერატორის მობძანება საფრანგეთში და ფორის მოგზაურობა რუსეთში და სთქვა: „ამ ამბების გამო ფორის სახელი საუკუნოდ დარჩება საფრანგეთში“. დეშანელმა მოიხსენია კეთილი გული ფორისა და იმისი კაცთმოყვარე ქცევა, აღნიშნა ის შედეგი, რომელიც მოჰყვა საფრანგეთ-რუსეთის კავშირს: „ფორის პატიოსნება იმაში იყო, რომ გულით დემოკრატი დარჩა“. დიუპუიმ მოიხსენია ის აღელვება, რომელიც გამოიწვია ფორის სიკვდილმა, თანაგრძნობა მთელის ქვეყნისა, მადლობა განუცხადა ყველა ხელმწიფეთ, რომელთაც ფორის დაკრძალვაზე დასასწრებლად გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენელნი, სთქვა, რომ საფრანგეთი არ დაივიწყებს ფორის სახელს და ბოლოს დასძინა: „მშვიდობით, რესპუბლიკისა და მამულის ერთგულო მსახურო! შენ ხალხს უყვარდი და არ დაგივიწყებს“. ლოკრუამ აღნიშა, რომ ფორს განსაკუთრებით უყვარდა ფლოტი და ჯარი, რა გულმოდგინეთ ეპყრობოდა სოციალურ საქმეებს და ბოლოს მიჰმართა განსვენებულის გვამს და გამოემშვიდობა. ბევრმა კიდევ სხვამ წარმოსთქვა სიტყვა და აქებდნენ ფორს, ვითარცა ადამიანსა და საზოგადო მოღვაწეს.

**პარიზი.** პროცესია მივიდა Notr Dame-მდე ისე, რომ არავითარი ამბავი არ მომხდარა. საკასაციო პალატის წინ გაისმა ხმები „გაუმარჯოს ჯარს“. სხვა ხმები არა ყოფილა. ამფიონის ფოჩები ეჭირათ: დელკასეს,—ლოკრუას, ფრეისინეს, ვიეეს, კრანცს, გილენს, პეიტრალს. 16 კაპიტანს მიჰქონდათ განსვენებულის ორდენები. ამათ მისდევდნენ: განსვენებულის ოჯახის წევრნი, ლუბე,—ქუდ-მოხდილი, ფრანკ-შოვო, დიუპუი, დეშანელი, ლებრე; შემდეგ სამხედრო ამალა, უცხოეთის ელჩნი, სენატორნი, დეპუტატნი და სხვანი. როდესაც რუსეთის ელჩებმა გაიარეს ელისეს მინდვრებთან, ხალხმა დაიძახა: „გაუმარჯოს რუსეთს!“ ტაძარში სწირა კარდინალმა რიშარმა. ტაძრიდგან პროცესია წამოვიდა 12 საათზედ და 50 წუთზე. არავითარი უწესოება არ მომხდარა. გვამი მიასვენეს „Père-Lacdaise“-ის სასაფლაომდე.

**პეტერბურგი.** სევასტოპოლიდგან, ხარკოვიდგან, ლოძიდგან და კრონშტატიდგან იუწყებიან, რომ ყველა ამ ადგილებში გარდახდილ იქმნა წირვა განსვენებულის პრეზიდენტის ფორის სულის მოსახსენებლადაო.

12 თებერვალი

**პარიზი.** როდესაც კუბოს წინაშე ჯარმა გაიარა, დელეგაციები და კორტეჟის წევრნი დაიშალნენ. სასაფლაოზედ იყვნენ მხოლოდ განსვენებულის ოჯახის წევრნი, მინისტრები და მეგობარნი. კუბო საგვარეულო ტაგრუცში ჩაასვენეს.

**ვაშინგტონი.** მანილიაში ღამე დიდი მღელვარება ყოფილა, რამდენსამე ალაგას ცეცხლი წაუკიდეს. ჯარს, წესიერების ჩამომგდებს, ფანჯრებიდგან თოფებს ესროდნენ და რამდენიმე ჯარის კაცი დასჭრეს. დილით ფილიპეს კუნძულელებმა შეწუხება დაუწყეს ამერიკელებს. დიდი შეტაკება მოხდა.

**პარიზი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო დღეს რუსეთის სამხედრო მისსია, რომელსაც ჰმეთაურობდა, რუსეთიდგან ფორის დასაფლავებაზედ დასასწრებლად ჩამოსული მის უდიდებულესობათა სახელით, გენერალი ბალდერინგენი.

**პარიზი.** „პატრიოტთა ლიგის“ („მამულიშვილთა საზოგადოების“) 50 წევრი შეიკრიბა ბასტილიის მოედანზედ, რომ რომელსამე ადგილას შეერთებოდნენ პროცესიით მიმავალთ. პოლიციამ განფანტა ამ მოედნიდგან. მაშინ ისინი ნაციონალურ მოედანზედ შეიკრიბნენ, მაგრამ არც აქ დააყენა პოლიციამ, იმათ გარდასწყვიტეს ჯგუფ-ჯგუფად წასულიყვნენ ნაციონალურ მოედანზედ, რომ შემდეგ ფორის კუბოზედ გვირგვინის დასადებათ მოეყარათ თავი.

**პარიზი.** როდესაც პროცესია ტურბიგოს ქუჩას უახლოვდებოდა, ხალხი ყვიროდა: „გაუმარჯოს ლუბესაო!“ რეომიურის ქუჩაზედაც გაისმა ასეთის მიგებების ხმა. ლუბე, რათა ეს ძახილი არ გამოეწვია, თავს არ უკრავდა. „გაუმარჯოს ლუბესაო!“ მაშინაც გაისმოდა, როდესაც სასაფლაოდგან ბრუნდებოდნენ. ლუბეს შემდეგ წავიდნენ სადიპლომატიო კორპუსის წევრნი და უცხოეთის სახელმწიფოების მისიის აფიცრები. გენერალს ცურლინდენსა და იმისს შტაბს შესძახეს: „ჯარს გაუმარჯოსო!“.

**პარიზი.** ლუბე საღამოს 5 საათსა და 20 წუთ. დაბრუნდა ლიუქსემბურგის სასახლეში და გზად სულ ყველგან დიდ-ძალი ხალხი სიხარულით ეგებებოდა. საწინააღმდეგო არა თქმულა რა.

**ბერლინი.** რომის კათოლიკეთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა მიცვალებულის წირვა განსვენებულის პრეზიდენტის ფორის სულის მოსახსენებლად. წირვას დაესწრნენ: იმპერატორი, ყველა პრინცები და დიდ-ძალნი წარჩინებულნი.

**პარიზი.** საღამოს 6 საათზედ ქუჩები სასაფლაოდგან მომავალ ხალხით აივსო. მემანიფესტაციენი ჰყვიროდნენ „Libre Parole“-ს რედაქციის წინ: „გაუმარჯოს ლუბესაო!“, მაშინ როდესაც რედაქციის ბალკონიდგან სხვა და სხვა გვარი ძახილი გაისმოდა.

საღამოს $6^{1}/_{2}$ საათზედ ამავე გაზეთის რედაქციის წინ ჩხუბი მოხდა. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს. დაიჭირეს დეპუტატი მილვუაც, რომელსაც უნდოდა არ დაეპატიმრებინა თავისი ერთი მეგობართაგანი. პოლიციის ერთი მოხელეთაგანი შპაგით არის ბარძაყში დაჭრილი.

**პარიზი.** ერთი რაზმთაგანი რომ დაბრუნდა ყაზარმებისაკენ დასაფლავების შემდეგ, რამდენსამე მემანიფესტაციეს ყაზარმებში შესვლა უნდოდა ჯარის კაცებთან ერთად მაგრამ შესვლა დერულედის მეტმა ვერავინ მოახერხა.

იმ რაზმს, რომელსაც შეჰყვნენ ყაზარმაში დერულედი და გაბერი, ჰმეთაურობდა გენერალი როჟე. პოლიციამ განუცხადა, რომ თქვენ დაპატიმრებულნი არა ხართ და შეგიძლიანთ გახვიდეთ, თუ მოისურვებთო.

საღამოს, $9^{1}/_{2}$ საათზეთ „Libre Parole“-ს რედაქციის წინ მანიფესტაცია მოახდინეს: ლანძღვაგინება ისმოდა დრიუმონის წინაამდეგ და ვიფატის ხმა ლუბეს პატივსაცემლად. პოლიციამ იერიში მიიტანა, და რამდენიმე კაცი დააპატიმრა.

საღამოს 8 საათზედ მშვიდობიანობა დამყარდა. მილვუა კვლავ დაპატიმრებულია, ვიდრე საქმეს გამოიძიებდნენ.

დერულედი და გაბერი ყაზარმაში დარჩნენ და ამისი მიზეზი არავინ იცის. „Sior“-ი ამბობს, რომ დერულედი დააპატიმრესო.

10 საათზე ანტისემიტთა მანიფესტაცია მოახდინეს. გაისმოდა ძახილი: „პანამა!“-ო. რამდენიმე კაცი დაპატიმრებულია.

11 საათსა და 30 წუთ. პუასონიერის ბულვარზედ რამდენიმე ჩხუბი მოხდა. პოლიციამ განფანტა ხალხი და რამდენიმე კაცი
აპატიმრა. პრეფექტის ბრძანებ
მილვუას ნაშუადამევის პირვ
საათზედ განათავისუფლებენ.

მთელის საღამოს განმავლობ
180 კაცი დააპატიმრეს. მშვი
ბიანობა ქუჩებში დამყარებუ
„ჰავასის სააგენტოს“ უწყებაში
ქვამია, რომ სენის დეპარტამე
დეპუტატი მილვუა დაპატიმრებ
იქმნა მონძარტრის ბულვარზე, 
გან პოლიციის განკარგულება
შეასრულა, ხალხი უნდა შეეყ
და აეჯანყებინოო. დეპუტატნი
რულედი და გაბერი, მემანი
ტაციებთან ერთად, ნელიის ყ
რმებში შევიდნენ და აღარ 
ვიდნენ იქიდანაო. მინისტრთა
ქოს პრეზიდენტმა უბრძანა 
პატიმრებინათ ეს დეპუტატები
ლვუა, დერულედი და გაბერი
პატიმროთა დეპოში იქმნენ 
ვანილნი.

## გასართობი

—

ერთხელ როდესაც დიოგენი ბ
ში იჯდა და თავის სოფნებო ა
ში იყო გართული მასთან მივიდ
ფე ალექსანდრე მაკედონელი და
კითხა:—შენ იცი ვინ ვარ მე?—
გორ არ ვიცი,—უპასუხა დიოგ
შენა ბრძანდები ალექსანდრე დიდ
კედონელი და მე კი ძაღლი ვარ. ა
სანდრეს მეტად ეოცა ამგვარი 
დიოგენისა, რომ მან თავისი თავი ძ
შეადარა და ჰკითხა: მე ვერ მ
დარვარ, მეცნიერო დიოგენ, შე
სუხს, შენზე მე ძალიან ბევრი მ
აზრები გამიგია და შენ კი შენ
ძაღლად უწოდებ?—მართალია, მ
მე ბოროტ ხალხს ვგბენ, ვინც 
უალონი არიან მათ ვუეფავ და
მოწყალება მათ ვულაქუცებ. მ
საჩუქარს ელი ჩემგან?—უპასუხა 
სანდრემ. შენგან არავითარ მოწყ
არ ველი, მხოლოდ ჩამომეცალე 
სხივებიდან, ნუ მიბნელებ, რადგანა
ცქერასაც შენ ეხლა მისპობ, 
დაჯილდოება შენ არ შეგიძლიანო

## რედაქციისაგან

—

**ქუთაისში.** ყ—ს. თქვენი წერილ
გილობრივის ზოგიერთი ქალი და ვაჟ
წაფეთა უწესოების გამო (მაიმუნობ
თვლა) სამწუხაროდ ვერ იბეჭდება.
ისა სჯობიან, რომ მასწავლებელთა
რადღება მიაქცევინოთ როგორმე.

**ნაგომარში.** ზ. ი—ს თქვენი
ლი სახელად «სათნო მღვდელი» (!)
საბეჭდად მიუხერხებელია. ჩვენ მ
თუ ეხლანდელს გურია-სამეგრელო
კოპოსს შეატყობინებთ ყოველივე
რასაც გვწერთ, მათი მეუფება ჯე
ყურადღებას მიაქცევს.